

საიდ. №76871/03

IR 1198612

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №78-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ (EGIS Gyógyszergyár Zrt) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №78-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 10 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №904/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LAZOR“ (საიდ. №76871/03, IR 1198612) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საექსპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 10 მარტის №904/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანს „LAZOR“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „Boehringer Ingelheim Pharma GmbH & Co. KG“ (მისამართი: 55218 Ingelheim; DE) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნებისა: „ЛАЗОРИН“ (IR 978574, რეგ.თარიღი 2008-08-19); და „LASORIN“ (IR 1158823, რეგ.თარიღი 2013-03-20). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს (როგორც კირილიცაზე შესრულებული ჩანაწერის შემთხვევაში, ასევე ინგლისურად შესრულებული ჩანაწერის შემთხვევაში) აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. სამივე ნიშანი სიტყვიერია, ხოლო რეგისტრირებულ ნიშნებში დამატებით დაბოლოებების „IN“, „ИН“ არსებობა საკმარისად ვერ განასხვავებს დაპირისპირებულ ნიშნებს სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნისაგან. განსხვავებულია ინგლისურად შესრულებული ნიშნის და წარდგენილი ნიშნის მესამე ასოები (ერთ შემთხვევაში „S“, ხოლო მეორეში „Z“). თუმცა აღრევამდე მსგავსია ამ ორი ასოს ჟღერადობა და მთლიანობაში სიტყვის წარმოთქმისას არ შეიმჩნევა განსხვავება. შესაბამისად, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - "საექსპატენტის" თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური

ქლერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას". აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ (EGIS Gyógyszergyár Zrt) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშანი ითვლება სხვა ნიშანთან აღრევამდე მსგავსად თუ იგი ასოცირდება მთლიანობაში, მათი ცალკეული განსხვავებების მიუხედავად. ნიშნების ბგერითი (ფონეტიკური) განსხვავების დადგენის დროს, განიხილება შემდეგი კრიტერიუმები: ნიშანთა შემადგენელი ბგერების სიახლოვე, მარცვლების რაოდენობა, ხმოვანთა სიახლოვე, თანხმოვანთა სიახლოვე, მახვილები. განცხადებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ლა-ზორ“, რომელიც შედგება 5 ფონემის, 3 თანხმოვნის, 2 ხმოვნისა და 2 მარცვლისაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ლა-ზო-რინ“ და შედგება 7 ფონემის, 4 თანხმოვნის, 3 ხმოვნისა და 3 მარცვლისაგან. დაპირისპირებული ნიშნების ფონეტიკური განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ისინი შედგებიან ფონემათა განსხვავებული რაოდენობისაგან, აგრეთვე შეიცავენ მარცვალთა, თანხმოვანთა და ხმოვანთა განსხვავებულ რაოდენობას. დაპირისპირებული ნიშნები, აგრეთვე, განსხვავდება სიტყვათა დაბოლოებით: „ზორ“ - „ზორინ“. გარდა ამისა, მახვილი კეთდება სხვადასხვა მარცვალზე, განცხადებულ ნიშანში მარცვალზე „ზორ“, ხოლო დაპირისპირებულ ნიშნებში

მარცვალზე „რინდ“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ფონეტიკურ განსხვავებას. აპელანტის პოზიციით, ნიშნების გრაფიკული მსგავსება განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საერთო მხედველობითი შთაბეჭდილება, შრიფტი, ასოების ხასიათის მიხედვით გრაფიკული სახე (მაგ. ბეჭდვითი თუ ხელნაწერი, მთავრული თუ არამთავრული ასოები და სხვ.), ასოთა განლაგება ერთმანეთის მიმართ, ფერი და ფერთა შეხამება. ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად, რადგან განცხადებული ნიშანი „LAZOR“ შესრულებულია ლათინური ასოებით (შრიფტით), ხოლო დაპირისპირებული ნიშანი კირილიცათი. ნიშნებში განსხვავებულია ასოების რაოდენობა, რაც ქმნის ნიშნებს შორის აშკარა ვიზუალურ განსხვავებას. აპელანტის მითითებით, ორივე ნიშნის საქონელი მოიცავს ფარმაცევტულ პრეპარატებს, რომლებიც გაიცემა აფთიაქების და სააფთიაქო ქსელების საშუალებით ფარმაცევტების მიერ. ფარმაცევტი არის სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება სამკურნალო საშუალებების გაყიდვის სფეროში. მას ევალება ექიმის რეცეპტის მიხედვით წამლის დამზადება, ვარგისიანობის კონტროლი, შენახვისა და რეალიზაციის პირობების დაცვა, მომხმარებელთა კონსულტაცია წამლის თვისებების, დოზირების, გვერდითი მოვლენებისა და უკუჩვენებების შესახებ. მათი პროფესიული მომზადებიდან გამომდინარე, ფარმაცევტები უსათუოდ კარგად არიან გათვითცნობიერებულნი ბაზარზე არსებული სამკურნალო საშუალებების, მათი თვისებების, დანიშნულების და მწარმოებლების შესახებ. შესაბამისად, გამორიცხულია პრეპარატების, „LAZOR“ და „ЛАЗОРИН / LASORIN“ აღრევა, მათი ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავების გათვალისწინებით. აპელანტის პოზიციით, პრეპარატი „ЛАЗОРИН“ გამოიყენება ცხვირის ლორწოვანის შესიების დასაცხრობად ალერგიული ან ინფექციური წარმოშობის რინიტების და ყელ-ყურ-ცხვირის სხვა, ინფექციურ-ანთებითი დაავადებების დროს. აპელანტის მითითებით, კომპანია „ეგიშ დიოდისერდია რზ“ დაარსებულია 1863 წელს და დღეისათვის არის აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი უნგრული ფარმაცევტული კომპანია.

მისი საქმიანობა მოიცავს წარმოება-გასაღების მთელ ჯაჭვს, კვლევებიდან და აქტიური ფარმეკოლოგიური ინგრედიენტების წარმოებიდან, მზა პროდუქციის წარმოება-გასაღებამდე და მარკეტინგამდე. კომპანიის შესაძლებლობები მთლიანდ მოიცავს სამკურნალო საშუალებების შექმნის, წარმოების და გასაღების ყველა ეტაპს და საშუალებას აძლევს კომპანიას აკონტროლოს მაღალი ხარისხი მთელი ციკლის განმავლობაში, იყოს მეტად მგრძობიარე ბაზრის ცვლილებების მიმართ. დღეისათვის ასორტიმენტში არის 531 პრეპარატი (სხვადასხვა დოზირებით და ფორმით), რომლებიც განეკუთვნება პრეპარატების 137 ჯგუფს და შეიცავენ 119 სახის აქტიურ ინგრედიენტებს. კომპანიის სამკურნალო საშუალებები აქტიურად იყიდება მსოფლიოს 60 ქვეყანაში წარმომადგენლობების და პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით. დღეისათვის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 4 000 ადამიანს, კომპანია იკავებს 28 ადგილს უნგრეთის მსხვილ დამსაქმებელთა შორის. კომპანიის წარმომადგენლობები არის სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საქართველოში, ყაზახეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდოვაში, პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთში, სლოვაკეთში, თურქეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, ვიეტნამში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 10 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №904/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LAZOR“ (საიდ. №76871/03, IR 1198612) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LAZOR” (საიდ. №76871/03, IR 1198612) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „ЛАЗОРИН” (IR 978574) და „LASORIN” (IR 1158823) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. განცხადებული ნიშანი და დაპირისპირებული ნიშანი „LASORIN” მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მსგავსია, ასევე, ნიშნების საწყისი ნაწილები „LAZOR”- „LASOR”. რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „ЛАЗОРИН”, მიუხედავად იმისა, რომ იგი შესრულებულია განსხვავებული შრიფტით, ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური მსგავსების გამო, განსხვავებული შრიფტი ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის განსხვავებას.

ამასთან, დაპირისპირებული ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ მსგავსად გამოითქმის: „ლაზორ” და „ლაზორინ” / „ლასორინ”.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LAZOR” (საიდ. №76871/03, IR 1198612) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ (EGIS Gyógyszergyár Zrt) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 10 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №904/03 ბრძანება.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ს. ებრალიძე